● კალათბურთი

ოქროს მედლები — მეცამეტედ!

პრაღაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. **ფინალურ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი 84:67 (43:35) და მეცამეტედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრები ალმაცლობით თამაშობდა, დიდი უპირატესობით ამარცხებდა ყველა მეტოქეს, მათ შორის ორჯერ მოუგო ოლიმპიადა-80-ის ჩემპიონს, იუგოსლავიის ნაკრებს, პირველად 20 ქულის სხვაობით, მეორედ, გადამწყვეტ მატჩში — 17 ქულით.

ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად წილად ხვდა თბილისის დინამოელ **ნ. დერიუგინს.**

წარმატებით იასპარეზეს გათამაშების მასპინძლებმა, ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა, რომლებმაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს ესპანელები — 101:90 (46:48).

საბოლოოდ ევროპის 1981 წლის ჩემპიონატის მონაწილე უძლიერესი გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. ესპანეთი, 5. იტალია, 6. ისრაელი.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 7. პოლონეთი, 8. საფრანგეთი, 9. საბერძნეთი, 10. გფრ, 11. თურქეთი, 12. ინგლისი.

ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა დაასახელა კონტინენტის სიმბოლური ნაკრები: ვალტერსი (სსრკ), კიჩანოვიჩი (იუგოსლავია), მიშკინი (სსრკ), კროპილაკი (ჩეხოსლოვაკია), დე ლა კრუსი (ესპანეთი).

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულია ვალტერსი.

ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება 1983 წელს საფრანგეთში.

ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციისათვის

ლოზანაში გაიმართა სოკ-ის ალმასკომის სხდომის შედეგებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. სოკ-ის პრეზიდენტმა ანტონიო სამარანჩმა ილაპარაკა ალმასკომის მიერ განხილულ საკითხებზე, მათ შორის — „ოლიმპიადა-84“-ისთვის მზადების შესახებ, რომელიც სარაევოსა და ლოს-ანჟელესში გაიმართება და გამოაცხადა, რომ დამტკიცდა სოკ-ის კონგრესისა და სესიის დღის წესრიგი, რომელიც 1981 წლის 20 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე ბადენ-ბადენში გაიმართება.

სოკ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ლოს-ანჟელესის ოლიმპიადაზე თამაშების პროგრამაში არავითარ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. კვლავინდებურად შენარჩუნებული იქნება სპორტის 21 სახეობა. სხვადასხვა წინადადების მიუხედავად, რაც ცალკეულმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა სოკ-ში შეიტანეს, 1984 წელს შეჯიბრებები სპორტის ახალ სახეობებში არ გაიმართება. სამარანჩმა დასძინა, რომ ყოველგვარი წინადადებანი ოლიმპიურ ასპარეზობაში ახალი სახეობების შეტანასთან დაკავშირებით უნდა შემოვიდეს თამაშების დაწყებამდე 4 წლით ადრე. სწორედ ამიტომ, დაგვიანებით შემოსული წინადადებანი მხოლოდ 1988 წლის ოლიმპიადისათვის განიხილება. წინა ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, შემოსულია წინადადება, რომ „ოლიმპიადა-84“-ზე მე-6, მე-7 და მე-8 ადგილებზე გამოსული სპორტსმენები, როგორც პრიზიორები, დაჯილდოვდნენ ოლიმპიური დიპლომებით. ეს საბოლოოდ გადაწყდება ბადენ-ბადენის სესიაზე.

ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის პოპულარიზაციის მიზნით სოკ-ის ალმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წელს რომში მოაწყოს სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე შექმნილი საფოსტო მარკების საერთაშორისო გამოფენა. იგი მიეძღვნება იტალიის დედაქალაქში სოკ-ის ალმასკომის სხდომას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108 (6919)
7
1981 წ.
ივნისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

ქვეყნის ნაკრებში

ჟიტომირში დამთავრდა ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ეს ასპარეზობა მიზნად ისახავდა მსოფლიო პირველობისთვის ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შერჩევას.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა **ბათუმელი ნადია სიმკო** („ვოდნიკი“), **რომელსაც რ. გაბელაია ავარჯიშებს.** ამ გოგონამ 4-ადგილიანი წყვილმოსასმელიანით რბოლაში ნაკრებ გუნდთან ერთად პირველობა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ორი ქულა აქტივში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 6 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 2:1 (1:0).

„დინამო“: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე (ხიზანიშვილი), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჩელებაძე), კაკილაშვილი, შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, ბუკიევსკი, შვეცოვი, ხიდიატულინი, დროზდოვი (ბულგაკოვი), მოროზოვი, ჩესნოკოვი, დულიკი, ტარხანოვი, კოლიადკო (გლუშაკოვი), დუბინინი.

მსაჯი ა. ტიმეტევი (უჟგოროდი).

მატჩს დაესწრო 42.000 მაყურებელი.

ტრადიციულად, ლიდერის წინააღმდეგ ყველა გაორკეცებული ენერგიით იბრძვის. მას შემდეგ, რაც თბილისის დინამოელებმა საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი ესოდენ დიდ სიმაღლეზე აიყვანეს, მათთან მიღწეული ფრე, რომ არაფერი ვთქვათ მოგებაზე, ყველა გუნდისთვის სანუკვარი გახდა. ამ მიზნისთვის თავდადებით იბრძვიან თბილისელთა მეტოქენი და არც თუ იშვიათად აღწევენ კიდეც საწადელს...

ასე ითამაშეს ოდესელებმა, კიეველებმა, ტორპედოელებმა, გუშინ კი მოსკოვის არმიელებმაც.

...23-ე წუთზე გუცაევი სწრაფად გაიჭრა წინ და მასთან ბრძოლაში დულიკმა აშკარად დაარღვია წესი. პენალტი. შენგელიამ ზუსტად დაარტყა — 1:0.

მიმდინარეობდა 74-ე წუთი, როცა არმიელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, წამით ღიად დარჩა დუბინინი და საკმაოდ შორი მანძილიდან დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა — 1:1.

83-ე წუთზე საუკეთესოდ ითამაშა ჩელებაძემ. მან კარგად შეარჩია მომენტი, ზუსტად და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში — 2:1. თბილისის „დინამომ“ თავის აქტივს 2 ქულა მიუმატა.

მატჩის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს **სერგო შუდრას:**

— ჩვენი გუნდი ახლა, უდავოდ, კარგ სპორტულ ფორმაშია, არა ჰყავს არც ერთი სუსტი რგოლი და, თუმცა, თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ რამდენიმე ქულა ზედიზედ დავკარგეთ, მაინც თამამად შეიძლება ითქვას — თბილისის „დინამო“ ბრძოლისუნარიანია, აღსავსეა ნებისყოფით, სიმტკიცით, მაგალითად, როცა ანგარიში იყო 1:1, დინამოელებმა ყველაფერი გააკეთეს გადამწყვეტი გოლის გასატანად და მიზანსაც მიაღწიეს.

შენიშვნა მაინც გვაქვს: გუნდი ბოლომდე ვერ იყენებს იმ მომენტებს, რომლებიც გააჩნია თამაშის მსვლელობაში. ინიციატივა გვაქვს, იერიშები მრავლადაა, გადამწყვეტი დარტყმებისას კი დიდ უზუსტობას იჩენენ ისინი, რომლებიც, ჩვეულებრივ, გოლის გატანის სპეციალისტებად ითვლებიან. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა კარგად იცოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ყველა გაორკეცებული ძალით იბრძოლებს, ამიტომ არ უნდა დაკარგონ ეს კარგი სანებისყოფო თვისებები. რა თქმა უნდა, როცა მწყობრში ჩადგება ყიფიანი, გუნდს გაცილებით უფრო გაუადვილდება კომბინაციური თამაში და შეტევის დამამთავრებელ ფაზასაც მეტი სიმწვავე ექნება.

მოსკოველთა შესახებ ის შეიძლია ვთქვა, რომ მთელი თამაშის მსვლელობაში ვერ გავარკვიე ხიდიატულინის როლი და ფუნქციები. ჩვეული ადგილი დაცვაში მან დატოვა, წინ კი ვერაფრით დაეხმარა პარტნიორებს.

რ. ქორიძე.

●

გუშინდელი საფეხბურთო მატჩის შესვენებისას საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ** სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშნები და მოწმობები გადასცა ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს **დ. ყიფიანს**, **რ. ხარშილაძეს** და **ვ. იხელიძეს.**

• • •

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები:

„ქაირათი“ — ასკა რ. 1:0.

„ფახთაქორი“ — „ნეფთჩი“ 3:0

„არარატი“ — „ტორპედო“ 3:2

„ზენიტი“ — „დინამო“ კ. 1:3

„დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“ 1:1

„დინამო“ მ. — „შახტიორი“ 1:1

„სპარტაკი“ — „დნეპრი“ 3:1

ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა უმაღლესი სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1981 წლის 5 თვის შედეგები, რომელიც პირველი ივნისისთვის ასე გამოიყურება:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი

	ადგილები			
	I	II	III	ქ.
ქ. თბილისი	34	30	32	857,0
ქ. ქუთაისი	8	4	2	133,0
ქ. რუსთავი	3	1	2	59,0
ქ. ზუგდიდი	3	4	6	54,0
ქ. გორი	3	2	2	54,0
აფხაზეთის ასსრ	3	—	—	40,0
აჭარის ასსრ	2	2	2	24,0
ქ. ფოთი	1	—	—	15,0
სამხ. ოს. აო	—	—	1	3,0

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

„დინამო“	7	13	5	424,0
ასკ	9	4	6	237,0
„განთიადი“	11	8	13	195,0
„სპარტაკი“	5	8	8	111,0
„კოლმეურნე“	7	1	1	109,0
„ბურევესტნიკი“	3	1	7	90,0
„ლოკომოტივი“	5	2	1	64,0
„შრ. რეზ.“	5	4	4	53,0
„ზენიტი“	1	1	1	18,0

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

დუშეთი	2	3	1	97,0
საჩხერე	1	—	1	24,0
კასპი	1	—	—	20,0
მახარაძე	1	—	1	18,0
მესტია	1	—	—	15,0
მცხეთა	—	1	1	12,0
ქარელი	—	—	3	8,0
თელავი	—	—	1	0

შენიშვნა: 1. გრაფაში — დაკავებული „ადგილები“ აღნიშნულია სპორტსმენებისა და გუნდების მიერ მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატებში, საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებულ საკავშირო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებული ადგილები.

2. გრაფაში — „ქულები“ გათვალისწინებულია მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში მოგროვებული ქულები სათანადო კოეფიციენტთა გათვალისწინებით: I ადგილისთვის — 5 ქულა, II ადგილისთვის — 3 ქულა, III ადგილისთვის — 1 ქულა.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და სპორტული რეზერვების განყოფილება.

„თეთრი ეტლის“ პრიზზე

პერვომაისკი (უკრაინა), 5 ივნისი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ სტარტი აიღო „თეთრი ეტლის“ პრიზზე საკავშირო გათამაშების ფინალურმა ასპარეზობამ. ტურნირის მონაწილეთა შორის არის საქართველოს რესპუბლიკურ გათამაშებაში გამარჯვებული თბილისის 61-ე საშუალო სკოლის გუნდიც (თ. ტაბატაძე, გ. როგავა, ა. ჯაჭვაძე, რ. კაკაბაძე, ც. მერეკლიშვილი).

თბილისელმა მოჭადრაკეებმა პირველ დღეს სძლიეს აზერბაიჯანის ნაკრებს — 4:1, მეორე დღეს კი — ბელორუსიის გუნდს — 4:1. III ტურში ისინი დამარცხდნენ (2:3) რუსეთის ფედერაციის გუნდთან.

ტურნირი 15 ივნისამდე გასტანს.

გ. მაჭარაშვილი,

გუნდის მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი.

უძლიერესნი დაშნით ფარიკაობაში

მოსკოვში, მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატზე კიდევ ერთ სახეობაში გამოვლინდნენ პრიზიორები. დაშნით პირად ასპარეზობაში ა. აბდუშახმეტოვმა (მოსკოვის ოლქი) ფინალში მოუგო ლ. დუნაევს (მოსკოვის ოლქი)— 10:8 და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ლენინგრადელ ბ. ლუკოვსკის.

● სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

თანამემამულეთა ფრე

მოსკოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი რეგბიში. მორიგ ტურში ლიდერებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა (მონინო) იოლად დაამარცხა ამ ლიგის დებიუტანტი, ლვოვის „სოკოლი“ — 61:3, ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივმა“— ალმა-ათის „კოსმოსი“ — 21:15.

თანამემამულეების, თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „სახლმშენის“ უშელავათო ბრძოლის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ კი მეტოქეებმა თითოჯერ მოახერხეს მოწინააღმდეგის „ქალაქის“ აღება და ფრეს დასჯერდნენ — 4:4.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ავიატორი“ (კიევი) — „ფილი“ (მოსკოვი) 24:10, „სლავა“ (მოსკოვი) — „ექსკავატორტიაჟსტროი“ (კრასნოიარსკი) 36:6, „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — „შევარდენი“ (თბილისი) 13:0.

„ბენფიკა", ეუსებიო და... თბილისის „დინამო"

საბჭოთა ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად პორტუგალიაში იმყოფებოდა „ლელოს" განყოფილების გამგე თ. ჭეიშვილი, რომელიც ლისაბონში ეწვია სპორტულ კლუბ „ბენფიკას" ფეხბურთის დეპარტამენტის დირექტორს ჟულიო გასპარ რამოშს, აგრეთვე ცნობილ ფეხბურთელს ეუსებიოს.

სტადიონს, სადაც კლუბის დეპარტამენტია მოთავსებული, ერთ-ერთი გვირაბით მივადექით (ასეთი სამანქანო გვირაბი სულ 7 აქვს სტადიონს).

პირველი, რაც თვალში გვეცა, იყო ცენტრალურ შესასვლელთან 10-მეტრიან კვარცხლბეკზე აღმართული ფრთებგაშლილი არწივის ვეება ქანდაკება — კლუბის სიმბოლო.

ფეხბურთის დეპარტამენტის შეფის პირადმა მდივანმა კაბინეტში მიგვიწვია. ხუთიოდე წუთში თვით რამოშიც მოვიდა — სპორტული აღნაგობის, ასე 40 წლის მიტანებული სანდომიანი მამაკაცი. როცა გაიგო, რომ დინამოელთა ქალაქიდან, თბილისიდან ვიყავით, სიამოვნებით დაგვეთანხმა ინტერვიუზე. საუბარი თვით რამოშმა დაიწყო.

— „ბენფიკა" და „სპორტინგი" პორტუგალიის ყველაზე დიდი სპორტული კლუბებია. „ბენფიკა" გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობს და მეტი თავდადებული გულშემატკივარიც ჰყავს. გამოდის ყოველკვირეული გაზეთი „ბენფიკა." კლუბი სპორტის 24 სახეობას აერთიანებს, აქედან, მთავარი ფეხბურთია. სტადიონი 60 ათას მაყურებელს იტევს და, როგორც ხედავთ, ქალაქის ერთ-ერთ ახალ, მშვენიერ უბანში მდებარეობს.

გუნდი 1904 წლის 28 თებერვალს შეიქმნა. ჩვენი წარმატების ზენიტად, — თქვა რამოშმა, — 1971-72 წლები მიგვაჩნია, როცა ზედიზედ მოვიპოვეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ისე კი, ხუთჯერ გავედით ჩემპიონთა თასის ფინალში.

— როგორ შეაფასა გუნდის ხელმძღვანელობამ ნახევარფინალში „კარლ ცაისთან" ნაგება?

— ვეკითხები რამოშს.

— „კარლ ცაისი" ის გუნდია, რომელმაც ერთმანეთს შეუთავსა კარგი ფიზიკური და მაღალი ტექნიკური მომზადება. გუნდი გამოირჩევა სიზუსტით, ნებისმიერ რთულ სიტუაციაში შეუძლია შეინარჩუნოს სწორი წონასწორობა. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ „კარლ ცაისი" აშკარა უპირატესობით სარგებლობდა სამივე პოზიციაში: დაცვაში, ნახევარდაცვაში, თავდასხმაში. ვერა და ვერ მოვახერხეთ ჩვეული სწრაფი იერიშებით მათი მონოლითური დისციპლინის მოშლა.

„კარლ ცაისი" დამსახურებულად გავიდა ფინალში, — დასძინა რამოშმა, — თუმცა, „დინამო" და „ბენფიკა" რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, დიუსელდორფის სტადიონი პირთამდე გაივსებოდა, ევროპა კი ნამდვილ არტისტულ ფეხბურთს იხილავდა. ნაგებამ სერიოზულად ჩაგვაფიქრა, — აგრძელებს რამოში. — ახლა ვცდილობთ გარდავქმნათ ვარჯიშის სისტემა, გაცილებით მეტი დრო დავუთმოთ ინდივიდუალურ წვრთნას.

— თბილისის „დინამოს" შესახებ რას იტყვით?

— საბჭოთა ფეხბურთი მაღალი კატეგორიის ფეხბურთს განეკუთვნება. საბჭოთა ფეხბურთის პოპულარობაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის „დინამოსაც". ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებით ამ გუნდმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში. ფინალს ხომ თითქმის მთელმა მსოფლიომ უყურა ტელევიზიით. „ბენფიკა" და თბილისის „დინამო" ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, — ეს ჩემი სუბიექტური აზრი არ გეგონოთ, — თქვა ჟულიო რამოშმა, — ამაზე წერენ ევროპის ქვეყნების ჟურნალისტები, ფეხბურთის სპეციალისტები. თქვენი მოთამაშეებიდან უნდა გამოვყო ყიფიანი, ჩივაძე, გუცაევი, შენგელია, დარასელია, ხინჩაგაშვილი. განსაკუთრებით შევჩერდები ყიფიანზე. იგი თავის ამპლუაში დღეისთვის სენსაციური მოთამაშეა, როგორც დირიჟორს — ბადალი არა ჰყავს. ყიფიანის შესახებ ბევრს წერენ ევროპული გაზეთები. აი, თუნდაც პორტუგალიის ცენტრალური სპორტული გაზეთი „ა ბოლა"; რამოშმა „ა ბოლას" რამდენიმე ნომერი გვიჩვენა. აი, ეს ნომერი, — გვითხრა მან, — 23 აპრილს გამოვიდა. სპეციალურმა კორესპონდენტმა ალფრედო ბარბოსამ მასალა როტერდამიდან ტელეფონით გადმოსცა. აი, როგორ დაასათაურა მან თავისი სტატია. „ავსტრიელ არბიტრებს სურდათ ჰოლანდიელები გაეყვანათ ფინალში და ქართველებს ორი გოლი და ერთი პენალტი მოპარეს". ეს კი 25 აპრილის ნომერია. ბარბოსამ როტერდამის მატჩის საფუძვლიანი ანალიზი ასე დაასათაურა: „სკანდალი, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შევა! ბოლოს და ბოლოს ავსტრიელმა მსაჯებმა „დინამოს" სამი გოლი მოპარეს!" — ეს ნომერი კი 14 მაისს გამოვიდა, თბილისის „დინამოს" მიერ ფინალში გამარჯვების მეორე დღეს და ამ მოვლენას ორი გვერდი აქვს დათმობილი.

ეუსებიო.

„ბენფიკას" სტადიონის ცენტრალური შესასვლელი. აქვეა მოთავსებული კლუბის ფეხბურთის დეპარტამენტიც.

◆

გაზეთში ვკითხულობთ:

— პირველ ტაიმში გუნდი ლელავდა, მაგრამ მეორე ტაიმში ქართველმა ფეხბურთელებმა სრული მობილიზება და ორგანიზებულობა გამოამჟღავნეს... გერმანელების გუნდი სინქრონული გუნდია, თბილისელთა მუდმივმა მოძრაობამ ეს სინქრონი დაარღვია და გააცამტვერა. ის, რაც ვერ შეძლო „ბენფიკამ", შეძლო „დინამომ", წონასწორობიდან გამოიყვანა მეტოქე, ბოლოსდაბოლოს დაშალა ლეგენდადქცეული გერმანული რკინისებური დისციპლინა... გუცაევი და ყიფიანი ჩინებულად ეგებოდნენ ერთმანეთს... „დინამო" თავისი მოკლე პასებით, მაღალი ტექნიკითა და ოსტატობით ევროპის არც ერთ საუკეთესო გუნდს არ ჩამოუვარდება, უფრო მეტიც, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა...

ამავე გვერდზე ყიფიანისადმი მიძღვნილი მოზრდილი წერილი ავტორს ასე დაუსათაურებია: „გუნდის „პატრონი" — ულტრაპასების მქონე ყიფიანი"... იქვე ვკითხულობთ, რომ თუ დიუსელდორფში მაყურებლები დიდი ფეხბურთის მოწმენი გახდნენ, ამის თავი და თავი დავით ყიფიანი იყო. მან დიდი ვირტუოზულობითა და ელეგანტურობით ჩაშალა გერმანელთა ნებისმიერი ცდა გაენეიტრალებინათ იგი. ყიფიანი, — წერს ჰომერო სერპა, — უბადლო ფეხბურთელია და ამჟამად ევროპაში მსგავსად არავის ძალუძს „დაინახოს" მინდორი, წამის მეათედებში გახსნილი საკუთარი გუნდის მოთამაშე, ყველაზე ხელსაყრელ სიტუაციაში ჩააწოდოს პასი, რომელიც ან გოლით დაგვირგვინდება, ან დიდ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეს...

* * *

პორტუგალიაში ყოფნის დღეებში ჩვენ სულ უფრო ვრწმუნდებოდით თბილისის „დინამოს" პოპულარობაში. ყველა, ვისაც კი გამოველაპარაკებოდით, ვინც კი გაიგებდა, რომ თბილისიდან ვიყავით, დიდი მოწიწებით გვეპყრობოდა. საუბარი კარგახანს გრძელდებოდა. ჩვენს ირგვლივ ამ დროს ათამდე პორტუგალიელი მაინც იკრიბებოდა და იწყებოდა კამათი ფეხბურთზე. თითქმის ყველა ამბობდა — როცა „დინამოსა" და „კარლ ცაისის" შეხვედრას ვუყურებდით, ასე გვეგონა, „ბენფიკა" თამაშობდაო. პორტუგალიელები „კარლ ცაისთან" „დინამოს" გამარჯვებას საკუთარ რევანშად მიიჩნევენ.

A BOLA Holanda

OS ÁRBITROS AUSTRÍACOS QUERIAM OS HOLANDESES NA FINAL DE DÜSSELDORF

REAL MADRID NA FINAL

„ა ბოლას" 23 აპრილის ნომერში დაბეჭდილი სტატია „დინამოსა" და „ფეიენოორდის" მატჩის შესახებ ასეა დასათაურებული: „ავსტრიელ არბიტრებს „ფეიენოორდის" გაყვანა სურდათ ფინალში და ქართველ ფეხბურთელებს ორი გოლი და ერთი პენალტი მოპარეს".

◆

— რას აკეთებს ამჟამად ეუსებიო?

— ეუსებიო „ბენფიკას" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორია, — გვითხრა რამოშმა, — დაახლოებით 100 იმედისმომცემ ბავშვს ავარჯიშებს. რა თქმა უნდა, მათგან ყველა ვერ გახდება ეუსებიო, მაგრამ ერთი ასეთიც რომ გავზარდოთ, ამასაც დიდ მიღწევად მივიჩნევთ. პორტუგალიაში ფეხბურთი ფანატიკურად უყვართ, ამიტომ გასაკვირი არც არის, ყოველ გაზაფხულზე ათასობით ბავშვი რომ მოაწყდება ხოლმე ეუსებიოს საფეხბურთო სკოლას. იგი მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერებს არჩევს. სკოლაში 9-10 წლის ასაკის ბიჭუნებს ღებულობს, თუმცა უმჯობესია ხვალ დილით თვით ეუსებიოს შეხვდეთ და ესაუბროთ...

* * *

— საით ნაბრძანდებით? — მკითხა ტაქსისტმა, როცა წინა სავარძელზე მოვიკალათე. — პირდაპირ ეუსებიოსთან, „ბენფიკას" სტადიონზე წამიყვანეთ-მეთქი.

ეუსებიოს ხსენებაზე მძღოლი გამოცოცხლდა, სკამზე აიშმუშნა, საიდან ხარო, — მკითხა. ინტუიციამ მიკარნახა, რომ საქმე კარგად მიდიოდა და ისეთი რიხიანად მივუგე, რომ დიუსელდორფში გამარჯვებული თბილისის „დინამოს" ქალაქიდან, თბილისიდან ვარ-მეთქი. მძღოლმა საჭეს ხელი გაუშვა და ტაში შემოკრა... მერე სტადიონამდე არ გაჩერებულა — აქო და იქო „დინამო", ცამდე აიყვანა.

...ფეხბურთის ყოფილი სუპერვარსკვლავი თეთრი „მერსედესით" მოვიდა, თეთრ პერანგსა და კოსტიუმში გამოწყობილი. რამოშმა წარმადგინა, იგი თავაზიანად მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მკითხა: რომელ ენაზე გსურთ ვისაუბროთ, ინგლისურად, ფრანგულად თუ პორტუგალიურადო? არჩევანი ინგლისურზე შევაჩერეთ...

და აი, კვლავ ფეხბურთის დეპარტამენტის შეფის, ჟულიო გასპარ რამოშის კაბინეტში ვსხედვართ, ამჯერად სამნი: რამოში, ეუსებიო და მე. ხანმოკლე პაუზის შემდეგ ეუსებიო მეკითხება, როგორ არიან მესხი და მეტრეველიო? ჩინებულად-მეთქი, ვუპასუხე. მესხი ბავშვებს ფეხბურთს ასწავლის, ისე, როგორც თქვენ.

— თუ კი რამე არის შენში, რაც მომავალ თაობას გამოადგება, არ უნდა დაიშურო, უნდა ასწავლო. ასწავლო არა მარტო ფინტები, პასების წაწოდება, ბურთის მკერდით ან ფეხის ტერფით შეჩერება, არამედ სიყვარული, ფეხბურთის სიყვარული... კარგი საქმისთვის მოუკიდია ხელი მესხს, იგი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო და ბევრ სასარგებლოს ასწავლის ბავშვებს.

— თქვენს საფეხბურთო სკოლაზე რას იტყვით?

— ალბათ სინიორ რამოშმა უკვე მოგახსენათ. დაახლოებით 100 ბავშვს ვავარჯიშებ, მინდორზე ვარჯიშის გარდა თეორიულ მეცადინეობებსაც ვატარებ. ვასწავლით ფეხბურთის ისტორიას, ფეხბურთის სუპერვარსკვლავების ბიოგრაფიას, მათს ტექნიკას. ბოლო დროს სასწავლო პროგრამაში დავით ყიფიანიც შევიტანეთ. საოცარი ფეხბურთელია, რაც უფრო „ბერდება", სულ უფრო და უფრო აუმჯობესებს თამაშს. სამწუხაროა, რომ „ბენფიკა" არ შეხვდა „დინამოს".

„ბენფიკასა" და პორტუგალიის ნაკრების წამყვანი მოთამაშე რეინალდო.

◆

ჩემმა ბავშვებმა დაკარგეს ბედნიერება საკუთარი თვალით ეხილათ დავით ყიფიანის თამაში ჩვენს მინდორზე. მომწონს ჩივაძე, გუცაევი და დარასელია.

ეუსებიომ ბოდიში მომიხადა — ნახევარ საათში ვარჯიში მეწყება, წავალ, ბავშვებს დავხვდები და მოვალ. საუბარი რამოშთან გავაგრძელე.

ჟულიო რამოშმა „ბენფიკას" ფერადი ფოტო მაჩვენა და აღნიშნა ის ფეხბურთელები, რომლებიც უშუალოდ „ბენფიკას" სკოლაში აღიზარდნენ. ფოტოზე ასეთი 13 ფეხბურთელი დავითვალე. „ბენფიკას" იმ მოთამაშეებს, რომლებიც „დიდი ფეხბურთიდან" მიდიან, ყველა პირობას ვუქმნით, რათა პრობლემების გარეშე იცხოვრონ, კავშირს არ ვწყვეტთ მათთან და ისინიც მონაწილეობენ ფეხბურთის დეპარტამენტის საქმიანობაში, — მითხრა რამოშმა.

— გულშემატკივრებზე რას იტყვით? — ვეკითხები დეპარტამენტის შეფს.

A BOLA Holanda

ÁRBITROS AUSTRÍACOS ... TRÊS GOLOS AO DÍNAMO

„ა ბოლას" 25 აპრილის ნომერში დაბეჭდილი სტატია კი ავტორს ასე დაუსათაურებია: „სკანდალი, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შევა. ბოლოსდაბოლოს ავსტრიელმა მსაჯებმა თბილისის „დინამოს" სამი გოლი მოპარეს".

◆

— ჩვენი კლუბი 60 ათას გულშემატკივარს აერთიანებს. [illegible] გადახდა ქველმოქმედების პრინციპზეა დამყარებული. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის არჩევაში მონაწილეობენ ფარული კენჭისყრის წესით. არჩევნები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. არჩევნების შემდეგ ასამბლეის წევრებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ დეპარტამენტის საშინაო საქმეებში. „ბენფიკას" მარად ერთგული, შეიძლება ითქვას, ფანატიკოსი გულშემატკივრები ჰყავს, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, მეტოქე შეურაცხყოფამდე არ [illegible].

— მე კი მგონია, — ჩაერია რამოშს, — ამ მხრივ მსოფლიოს ყველა ქვეყნის გულშემატკივრები ერთმანეთს ჰგვანან.

— თქვენი აზრით, ვინ გახდება ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონი და აქვს თუ არა შანსები პორტუგალიის ნაკრებს?

— ნაადრევი იქნებოდა ამაზე ლაპარაკი. არავინ იცის, რომელი ქვეყნის გუნდი ამოტივტივდება, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტი შანსები აქვთ ბრაზილიას, არგენტინას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. კარგი იქნება, თუ პორტუგალიის ნაკრებიც გავიდა ფინალში. ბრაზილიის ნაკრები ესპანეთის ჩემპიონატზე სიურპრიზს შემოგვთავაზებს, [illegible] სრულიად გარდაქმნა „ბრაზილიური სისტემა", ევროპის ფეხბურთიდან აიღო საუკეთესო, [illegible] გაუკეთა და ბრაზილიურ არტისტიზმს მიუსადაგა. მე ამას წინათ მათ საწვრთნელ ვარჯიშს დავესწარი და აღფრთოვანებული დავრჩი... როგორც იცით, პორტუგალიის ნაკრებში „ბენფიკადან" 9 კაცი [illegible], ამჯერად კი მხოლოდ 7 [illegible]. ისინი არიან: მეკარე ბენტო, უმბერტო, შეუ, ნენე, შალანა, რეინალდო, ალვეში. სხვათა შორის, ალვეშს ერთი უცნაური [illegible] აქვს, ყოველთვის შავი ხელთათმანებით თამაშობს. ამბობს, — ამას ბაბუაჩემის ხსოვნის პატივსაცემად ვაკეთებ, [illegible] შავი ხელთათმანებით თამაშობდა ფეხბურთსო.

— როგორი შემადგენლობით წარმოგვიდგენიათ მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები (გვაინტერესებს თავდასხმა და მეკარე)?

— ახლა ფეხბურთის სუპერვარსკვლავები აღარ არიან და მათი წარმოდგენა ძნელია, მაგრამ რამდენიმე კანდიდატს მაინც დავასახელებ. მეკარედ აუცილებლად ჩვენს ბენტოს, მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მეკარეს დავაყენებდი, თავდასხმაში კი ვათამაშებდი შუსტერს, [illegible], ყიფიანს, მარადონას...

— მარადონაზე, როგორც სუპერვარსკვლავზე, რას იტყვით?

— [illegible] კი მოგახსენეთ, ახლა სუპერვარსკვლავები აღარ არიან. [illegible] პელეს, გარინჩას, ეუსებიოს [illegible]. მათ შეძლეს ასულიყვნენ მსოფლიო ფეხბურთის უმაღლეს კვარცხლბეკზე. პელე ფეხბურთის მეფედ კი აღიარეს, მარადონა [illegible] არასოდეს არ იქნება ფეხბურთის მეფე. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, ღმერთმა ქნას, [illegible] მსოფლიო ფეხბურთის [illegible] ვარსკვლავების ფონზე მარადონა ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია. მასზე ამბობენ, ფეხბურთზე უფრო ფული უყვარსო. რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ თუ ეს ასეა, როგორც ფეხბურთელი, იგი მალე დაიღუპება.

ბოლოს ჟულიო გასპარ რამოშმა მთელი გუნდის სახელით თბილისის „დინამოსთან" შეხვედრის დიდი სურვილი გამოთქვა. შემდეგ კი სუფთა ქაღალდი აიღო და „დინამოსა" და მის გულშემატკივრებს კეთილი სურვილებით სავსე რამდენიმე სტრიქონი მიუძღვნა.

...ეუსებიო სწორედ იმ წუთს დაბრუნდა, როცა რამოშს ვემშვიდობებოდი, დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და თავაზიანად მკითხა — კიდევ რამე შეკითხვა ხომ არა გაქვთ ჩემთან?

— ხომ არ გაიხსენებთ „ბენფიკას" რაიმე „ურთიერთობას" თბილისის „დინამოსთან"? — ეუსებიოს გაეცინა.

— როგორ არა, გავიხსენებ. იმ წელიწადს „ბენფიკას" არც ერთი ნაგება არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ და აი, თბილისის „დინამოს" ვხვდებით ფინალში. დინამოელები გვამარცხებენ, საქართველოში „კარაველათი" ბრძანდებიან.

(ნეტა არ გამეხსენებინა ეს უსიამოვნო მარცხი. რას შვრები ახლა, რომ გაბრაზდეს, ჩაჯდეს თავის მერსედესში და შინ წაბრძანდეს? არა და სასტუმროში დაბრუნების ყველა იმედს ახლა ეუსებიოზე ვამყარებ)...

Düsseldorf FINAL DA TAÇA DAS TAÇAS

O FUTEBOL DO DÍNAMO É MAIS DA NOSSA RAÇA

O «PATRÃO» KIPIANI

„ა ბოლას" ეს ნომერი კი 14 მაისს გამოვიდა. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „კარლ ცაისსა" და თბილისის „დინამოს" ფინალურ შეხვედრას. მარჯვნივ, ცალკე სტატია ყიფიანის შესახებ, სათაურით: „გუნდის „პატრონი" — ულტრაპასების მქონე ყიფიანი".

◆

— სხვას თუ არაფერს გვკითხავთ, სასტუმროში მიგიყვანთ, იქით მივდივარ. — ჩვეული თავაზიანობით შემომთავაზა და გამიღიმა.

— კაცი ხარ კაცური, ეუსებიო! — გულწრფელად წამომცდა ხმამაღლა.

— რა ბრძანეთ? — ინგლისურად მკითხა ეუსებიომ.

— არაფერი — ვუპასუხე — კარგი ამინდია და ლისაბონში ფეხით გასეირნებას რა ჯობია-მეთქი! — მაგრამ სანამ რამეს მიპასუხებდა, თეთრი მერსედესის სალონში შევყავი თავი.

სასტუმროსთან ეუსებიო თბილად დამემშვიდობა, ეს იყო და ეს...

თამაზ ჭეიშვილი.

ლისაბონი — თბილისი.
1981 წლის მაისი.

◆

SPORT LISBOA E BENFICA

„ბენფიკას" ემბლემა.

◆

ავტორის ფოტოები.

„ლამაზი ფეხბურთით კვლავაც მოგვეხიბლოთ სამყარო, სულ გამარჯვებით გევლოთ, „დინამო!"

ჟულიო გასპარ რამოში.

I ლიგა

5 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამაშების 3 მატჩი.

კიევის არმიელებმა შინ წააგეს

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ხარკოვის „მეტალისტთან" — 1:4, ხოლო ბელოდარის „ტრაქტორმა" — კემეროვოს „კუზბასთან" — 0:1.

ვოროშილოვგრადის „ზარიამ" მოუგო ვორონეჟის „ფაკელს" — 1:0.

* * *

ჯიზაკის „ბუსტონისა" და [illegible] „[illegible]" (I ლიგა) დუბლიორ ფეხბურთელთა მე-14 ტურის შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო [illegible] მოუგო ქუთაისის „ტორპედოს" — 3:0.

პირველი ჯგუფი

I ქვეჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

„არმაზი" (მცხეთა) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:4. მსაჯი გ. მიმინოშვილი (თბილისი).

მცხეთელთაგან 2 ბურთი გაიტანა სოლოღაშვილმა, თითო — ბულბაშვილმა და პაპიაშვილმა, ხოლო სტუმართაგან — ბაბუხადიამ, ფირანიშვილმა, ბზიკაძემ და მ. სილოგაძემ.

ასკ (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

არმიელ გელაშვილის გოლი გაქვითა მინდიაშვილმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ლოლიევმა („მადნეული") და ჯაკობიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გაფრთხილებულია ბოლნისელი ბ. უგულავა.

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ვარძია" (ასპინძა) 2:1. მსაჯი ჯ. ნოდია (თბილისი).

სტუმართა კარი ორჯერ აიღეს ცირეკიძემ და ნიჟარაძემ, საპასუხო გოლის ავტორია ფოცხვერაშვილი.

„თორი" (ბორჯომი) — „ალგეთი" (მარნეული) 1:0. მსაჯი ა. ჯანაშვილი (თბილისი).

ბურთი გაიტანა წიკარიშვილმა.

„კახეთი" (თელავი) — „ავტომობილისტი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. მოსულიშვილი (რუსთავი).

„იბერია" (ხაშური) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:0. მსაჯი შ. ბანიაშვილი (თბილისი).

ეს სპარტაკელთა პირველი დამარცხებაა. ბურთები გაიტანეს ხარაზიშვილმა და გერმანიშვილმა.

„მელიორატორი" (ჭიათურა) — „ავიატორი" (თბილისი) 2:2. მსაჯი ბ. ჩერნიავსკი (სოხუმი).

გოლები: კაკაბაძე, ბერული („მელიორატორი"), ბანცური, ღამბაშიძე („ავიატორი").

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:2. მსაჯი ა. ბოგოევი (ცხინვალი).

„სპარტაკი" (ცხინვალი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გაფრთხილდნენ თბილისელი ფეხბურთელები თ. გელაშვილი და ლ. კაპანაძე, აგრეთვე, ცხინვალელი ვ. ლოლაევი.

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მელიორ."	12	6	5	1	31—11	17
„მეშახტე"	12	6	5	1	33—17	17
„იბერია"	12	7	2	3	20—14	16
„სპარტ." თბ.	12	5	6	1	14—8	16
„ქართლი"	12	6	3	3	19—18	15
„დურუჯი"	12	6	2	4	18—16	14
„ალგეთი"	12	5	3	4	20—14	13
„კახეთი"	12	6	1	5	17—11	13
„ალაზანი"	11	6	1	4	18—17	13
„მადნეული"	12	5	3	4	16—19	13
„ავიატორი"	12	4	3	5	18—19	11
„სპარტაკი"	12	4	3	5	9—15	11
„ავტომობ."	12	2	6	4	11—16	10
„არმაზი"	12	2	5	5	15—17	9
ფიზკ. ინსტ.	12	3	3	6	11—19	9
„თორი"	12	2	3	7	7—20	7
„ვარძია"	12	2	1	9	14—27	5
ასკ თბ.	11	1	3	7	10—23	5

II ქვეჯგუფი

„დინამო" (ქუთაისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).

ანგარიში გახსნა ქობულეთელმა გოგიტიძემ, შემდეგ კი დინამოელებმა 2 ბურთი გაიტანეს (სილაგაძე, ვასაძე).

მინდვრიდან გაიძევეს ქობულეთელი გ. ჯორბენაძე. გაფრთხილდნენ დინამოელები გ. ლისაბერიძე და ლ. კეცია.

„გიგანტი" (ლაითური) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

2 ბურთი გაიტანა ზაქარიაძემ, 1 — [illegible].

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ნაკადული" ([illegible]) 0:0. მსაჯი ნ. წურწკავა (ფოთი).

„ჩიხურა" (საჩხერე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ზ. ზუბხაძე (ახალციხე).

დაწინაურდნენ ზესტაფონელები (გუმბერიძე), ხოლო საჩხერელმა გოგოლაძემ მეორე ტაიმში 2 ბურთი გაიტანა.

„დინამო" (ზუგდიდი) — „იმერეთი" (წყალტუბო) 4:0. მსაჯი ა. ეჯიბია (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ნაჭყებიამ (2), თუთბერიძემ და ტიბუამ.

„სულორი" (ვანი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:3. მსაჯი ვ. ცვანცალაძე (თბილისი).

გაფრთხილებულია ხობელი რ. სამხარაძე.

„მზიური" (გალი) — „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) 3:1. მსაჯი რ. ძოწუაშვილი (თბილისი).

კაკაიას, ზაქარიასა და ისტრიოვის 3 გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ფრუიძე).

„სქური" (წალენჯიხა) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:2. მსაჯი ა. ჯანაშვილი (თბილისი).

„ეგრისი" (ცხაკაია) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" ზ.	12	7	5	0	19—4	19
„სულორი"	12	7	4	1	23—9	18
„ნაკადული"	12	5	6	1	15—11	16
„მეტალურგ".	12	5	4	3	19—13	14
„ბახმარო"	12	6	2	4	18—13	14
„გიგანტი"	12	5	4	3	16—11	14
„შუქურა"	12	5	3	4	17—13	13
„ჩიხურა"	12	5	3	4	15—16	13
„მზიური"	12	4	4	4	16—13	12
„მერცხალი"	12	4	4	4	12—11	12
„სალხინო"	12	4	3	5	15—16	11
„სქური"	12	3	5	4	9—14	11
„იმერეთი"	12	3	4	5	10—13	10
„კოლხეთი"	12	3	3	6	15—20	9
„ენერგეტ."	12	2	5	5	14—20	9
„დინამო" ქ.	12	3	2	7	11—26	8
„ეგრისი"	12	2	3	7	13—22	7
„ამირანი"	12	2	2	8	14—26	6

საქართველოს პირველობა

მეორე ჯგუფი

I ქვეჯგუფი

„იბერია" (ქარელი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:1, „[illegible]" (ქვემო ალვანი) — „კომპლექსი" (წნორი) 4:4, „აბული" (ახალქალაქი) — „ზარზმა" (ადიგენი) 1:0, „სპარტაკი" (რუსთავი) — „განთიადი" (კასპი) 1:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ენერგეტიკოსი" (გარდაბანი) 2:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „მამაცელი" (დმანისი) 3:3, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:1.

II ქვეჯგუფი

„განთიადი" (აბაშა) — „მშენებელი" (ჭიათურა) 5:0, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „სენაკი" (ცხაკაია) 4:2, „ტეხურა" ([illegible]) — „რიწა" (გუდაუთა) 2:1, „[illegible]" (მახარაძე) — „[illegible]" ([illegible]) 3:0, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „მეჯინისწყალი" (ზუგდიდი) 1:0, „[illegible]" (სენაკი) — „მშრომელი" (ტყვარჩელი) 4:5, „ავიატორი" (სოხუმი) — „გეოლოგი" (სოხუმი) 0:2, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:1.

საქართველოს სორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

მხატვრის საჩუქარი

როცა ფეხბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა რაიმუნდო საპორტამ განაცხადა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს მინიმალური ხარჯები ექნებათ, მას საამისო საფუძველი ჰქონდა. მაგალითად, ჩემპიონატის ოფიციალური აფიშა საორგანიზაციო კომიტეტს სრულიად უსასყიდლოდ მიართვეს.

ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, იმართება მრავალსაფეხურიანი კონკურსები, რომელთა გამარჯვებულებს პლაკატებისა და აფიშების საავტორო უფლება და, მასთან ერთად ჰონორარიც ეძლევათ. ამჯერად ყველაფერი უბრალოდ მოხდა: გამოჩენილმა ესპანელმა მხატვარმა, 87 წლის ხუან მირომ, რომლის სახელიც ჰქვია მადრიდის ერთ-ერთ მოედანს, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს აჩუქა პლაკატი. იგი ერთხმად იქნა აღიარებული ჩემპიონატის ოფიციალურ აფიშად. განთქმული კატალონიელი მხატვრის ეს ჩანახატი ახლა ამშვენებს კონვერტებსა და გამოფენათა სასახლის ფასადს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„მარსელი" გაკოტრდა

საფრანგეთის ცნობილი პროფესიული საფეხბურთო კლუბი „მარსელი", სადაც ეროვნული ნაკრების კაპიტანი მ. ტრეზორი გამოდის, ფაქტიურად აღარ არსებობს. სასამართლომ დაადასტურა კლუბის სრული ფინანსური უძლურობა და „სასიკვდილო" განაჩენი გამოიტანა, რომელიც აპელაციას არ ექვემდებარება.

„მარსელი" მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კლუბია (ჩამოყალიბებულია 1899 წელს), რომელმაც თავის ისტორიაში ოთხჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონობა, ცხრაჯერ — ეროვნული თასი.

ბოლო ხანებში „მარსელი" წარუმატებლად თამაშობდა, მისი ვალი კი სულ უფრო იზრდებოდა. და, აი, — სრული კრახი.

ქალთა ფეხბურთი

უეფა-მ, მისი თავმჯდომარის ა. ფრანკის ხელმძღვანელობით, გადაწყვეტილება მიიღო მომავალი წლიდან გამართოს ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ქალთა გუნდებს შორის, მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ გათამაშება მხოლოდ მაშინ მოეწყობა, თუ ამ ახალ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილს განაცხადებს 12 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციები.

როსი „იუვენტუსში"

იტალიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 24 წლის პ. როსი, რომელიც იტალიაში მომხდარი საფეხბურთო სკანდალის გამო დისკვალიფიცირებული იყო 1982 წლამდე, ივლისში კვლავ შეუდგება ვარჯიშს, მაგრამ არა თავის მშობლიურ კლუბ „ვიჩენცაში", არამედ „იუვენტუსში".

უთანხმოების გამო

ნიუ-იორკის „კოსმოსის" მწვრთნელ მაისვაილერთან უთანხმოების გამო გუნდი დატოვა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა კარლოს ალბერტომ.

ბოლო აკორდი ბათუმში

თავისუფალი ჭიდაობა

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე წლის მთავარ სპორტულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ლიტვის ქალაქ კაუნასში ივლისში ჩატარდება.

მრავალი სპორტული ღონისძიება უსწრებდა წინ ამ სპორტულ ზეიმს. ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობა გახლდათ საქართველოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ახლახან ბათუმში დამთავრდა.

ადრე გამართულმა საკავშირო პირველობამ ჭაბუკთა შორის (ამავე ასაკში ტარდება სპარტაკიადაც) დაგვანახა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი მოჭიდავეები ცუდად არ ფლობენ ტაქტიკასა და ტექნიკას. 4 მედალი, მათ შორის ერთი ოქროსი, გვაიმედებს, რომ საქართველოს ნაკრებმა სპარტაკიადაზე მხოლოდ და მხოლოდ საპრიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლოს.

ამ შეჯიბრებაზე სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს ლ. ხაბელოვის, მ. როზომაშვილის, ზ. თურმანიძის, ქ. ლომიძისა და სხვათა მაღალი ბრძოლისუნარიანობა. ახლა მთავარია დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა სპორტსმენებმა უმაღლესი სპორტული ფორმა სპარტაკიადის დაწყებისთანავე გამოავლინონ.

გაგაცნობთ ჩემპიონებსა და პრიზიორებს: **45 კგ.** ე. გვიჩიანი (სოხუმი), რ. გაგლოევი (ცხინვალი), მ. თოხვაძე (სამტრედია); **48 კგ.** გ. ლომიძე (საჩხერე), დ. ემინოვი, გ. მაღალაშვილი (ორივე — კასპი); **52 კგ.** პ. ჭანტურიშვილი, რ. კუდუხოვი (ორივე — თბილისი), დ. სამსონია (სოხუმი); **56 კგ.** ი. გიგუაშვილი (თბილისი), გ. დემურია (სოხუმი), გ. ჯინიკაშვილი (გორი); **60 კგ.** მ. როზომაშვილი (თბილისი), გ. გაბოძე (კასპი), ა. ცისკარიძე (ბათუმი); **65 კგ.** გ. ხარებაშვილი, ე. ასლამაზიშვილი, დ. გორგოძე; **70 კგ.** გ. სამხარაძე, ვ. დოლიძე, ა. გოგოლიშვილი (ყველა — თბილისი); **75 კგ.** ა. სამსიანი (სოხუმი), კ. ტუჩაშვილი (თბილისი), გ. ბაღდადიშვილი (რუსთავი); **81 კგ.** ქ. ლომიძე, ვ. ალავიძე, ა. წიკლაური; **87 კგ.** გ. გალდავა, გ. ჩუტანდი (ყველა — თბილისი), მ. სვანიძე (სოხუმი); **97 კგ.** ლ. ხაბელოვი (თბილისი), მ. გვილია (სოხუმი), დ. ბუზარიაშვილი (თბილისი); **97 კგ-ს ზევით.** ზ. თურმანიძე (თბილისი), რ. დუაძე (ბათუმი), ზ. ბერაია (თბილისი).

ო. შოშიტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადშიც, გუნდურშიც...

ბაქოში ორ დღეს გაგრძელდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების პირველობა სპორტულ რადიოპელენგაციაში („მელაზე ნადირობა“). ასპარეზობა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 60 წლისთავს მიეძღვნა. საერთო ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს საქართველოს დოსააფელებმა. მათვე გადაეცათ გარდამავალი თასი.

პირად შეჯიბრებაში თბილისის № 35 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი მარინა ტასოევა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

* * *

სურათზე: მ. ტასოევა ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტში.
რ. ალიევის ფოტო.

ოლიმპიური ამბები

1992 წელს ბარსელონაში?

ბარსელონის მერმა, სოციალისტმა ნ. სერამ ესპანეთის მეფის ხუან კარლოსს თხოვნით მიმართა იშუამდგომლოს 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ ბარსელონაში, რომლის მოსახლეობა 2,5 მილიონია.

1992 წელს ესპანეთში იზეიმებენ ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს. მიმართა რა მეფეს, მხარი დაუჭიროს ბარსელონას კანდიდატურას, სერამ განაცხადა: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბარსელონამ თამაშები მაღალ დონეზე ჩაატაროს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი სწორედ ბარსელონელი გახლავთ.

პრეზიდენტი პასუხობს ჟურნალისტებს

ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში მიმდინარე სამმხრივი კომისიის სხდომებთან დაკავშირებით გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი და სამმხრივი კომისიის მონაწილენი — სოკ-ის ხელმძღვანელობის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეროვნული სპორტული კომიტეტების წარმომადგენლები.

სოკ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სხდომაზე განიხილეს გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის დაუმეს მოხსენება ბადენ-ბადენის ოლიმპიური კონგრესისთვის მზადების შესახებ (როგორც ცნობილია, ეს კონგრესი წლეულს შემოდგომაზე გაიმართება). სხდომის მონაწილეებმა დაამტკიცეს, აგრეთვე კონგრესზე მოწვეული საპატიო სტუმრების — ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლების, ცნობილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების სია, რომელთა შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც არიან.

პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამმხრივი კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო მსჯელობა იმ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პოზიციებზე, რომლებიც მოსკოვის თამაშებში არ გამოვიდნენ. სხდომის მონაწილეებმა მიიღეს სოკ-ის სპეციალური მიმართვის ტექსტი, რომელშიც მკაცრადაა დაგმობილი მოსკოვის თამაშებისადმი ზოგიერთი ქვეყნის დამოკიდებულება. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამ ეროვნულმა კომიტეტებმა პოლიტიკური მოსაზრების გამო თავი შეიკავეს, მონაწილეობა მიეღოთ XXII თამაშებში, და რომ მათზე ზეგავლენა მოახდინეს სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა. მათი ამგვარი მოქმედება მთლიანად ეწინააღმდეგება ოლიმპიურ პრინციპებსა და ოლიმპიურ წესდებას. სოკ-ი ყველა ეროვნულ კომიტეტს მოუწოდებს პატივი სცენ ოლიმპიურ პრინციპებს, დაიცვან ოლიმპიური მოძრაობის ინტერესები.

სოკ-ის დირექტორმა მ. ბერლიუმ აღნიშნა, რომ სამმხრივი კომისიის წევრებმა სინანული გამოთქვეს ეროვნულ კომიტეტებზე პოლიტიკური დაწოლის გამო, და რომ ეს მოვლენები მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოებში შეიმჩნევა, ამიტომაც სოკ-ი ამ სახელმწიფოებს სათანადო წერილებს გაუგზავნის.

ხ. სამარანჩმა ჟურნალისტთა თხოვნით შეაფასა სოფიაში გამართულ სოციალისტური ქვეყნების მინისტრთა იმ თათბირის შედეგები, რომელშიც თვითონ მონაწილეობდა. განაცხადა, რომ თათბირის შედეგები უდაოდ დიდ დადებით როლს ითამაშებს საერთოდ სპორტის განვითარებისა და ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ აღმავლობაში. შეხვედრები სოფიაში ჩატარდა ოლიმპიური მოძრაობისა და მომავალი ოლიმპიური კონგრესის სრული მხარდაჭერის ნიშნით.

ქალი — სოკ-ის სავარძელში

ბოლოსდაბოლოს როდის გამოჩნდება სოკ-ის წევრთა შორის კაცობრიობის მშვენიერი ნახევრის წარმომადგენელი და ვინ იქნება იგი. ამ კითხვით ხშირად მიუმართავთ ჟურნალისტებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტებისათვის ლორდ კილანინისათვის და აგრეთვე ამჟამინდელ ხელმძღვანელ ხუან ანტონიო სამარანჩისათვის. და თუ პირველ კითხვაზე გარკვევით პასუხობდნენ, — მალეო, მეორე საკითხზე — კანდიდატურაზე ისინი დუმილს არჩევდნენ.

კანდიდატ ქალზე ცნობა მოვიდა ფინეთიდან. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, სოკ-ის ფინელი წარმომადგენელი პაავო ხონკაიური წელს სექტემბერში ბადენ-ბადენში სოკ-ის ალმასკომზე ამ პოსტზე დასანიშნად რეკომენდაციას გაუწევს 29 წლის პირიე ხეგმანს. ხეგმანი — ცნობილი ფინელი სპორტსმენია. იგი მონრეალის ოლიმპიადის ფინალისტი იყო 400 მეტრზე რბენაში, დიდ სპორტს სულ ახლახან ჩამოშორდა, პროფესიით სპორტის ინსტრუქტორია.

ეს კანდიდატურა განიხილეს ფინეთის ამას წინათ გამართულ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე და ერთსულოვნად მიიღეს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, სავსებით ბუნებრივია, რომ სოკ-ის პირველი წევრი ქალი ფინეთის წარმომადგენელი გახდება. ფინელებმა ხომ 75 წლის წინათ ევროპაში პირველებმა მისცეს ქალებს ხმის უფლება.

პაულენი წასვლას აპირებს

როგორც იუპ-ის სააგენტო იუწყება, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი სპორტული ორგანიზაციის — მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) პრეზიდენტს ა. პაულენს გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს იმას, რომ ახალ არჩევნებში პოსტიდან გაათავისუფლონ. „მალე 80 წლისა გავხდები, — განაცხადა ჰოლანდიელმა პაულენმა, — დროა მემკვიდრეზე ვიზრუნოთ. ჩემი აზრით, არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატურა უნდა დავასახელოთ, რაც იააფ-ის რიგების ერთიანობას უზრუნველყოფს“.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტის არჩევნები ამა წლის სექტემბრის დასაწყისში მოეწყობა, რომში იააფ-ის კონგრესის დროს. თავდაპირველად პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენეს ა. ლუნდკვისტმა (შვეცია) და პ. ნებიოლომ (იტალია), მაგრამ შემდეგ პაულენის მსგავსად თავისი გადაწყვეტილება შეცვალა ლუნდკვისტმაც. ამრიგად, პრეზიდენტის სავარძლის ერთ-ერთ კანდიდატად რჩება ნებიოლო — იტალიის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) პრეზიდენტიცაა.

პანორამა

● ბალახის ჰოკეი

ბრიუსელში სტარტი აიღო ბალახის ჰოკეიში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებამ. პირველ ტურში ანდიჟანის „ანდიჟანკამ“ მოუგო ინგლისის ჩემპიონს „ნორტონ ლედიზს“ — 2:1, ხოლო სვერდლოვსკის არმიელთა გუნდის შეხვედრა გფრ-ის „ფაქელტან ტგ 1846“-თან დამთავრდა ფრედ — 2:2.

● ჩოგბურთი

ლონდონი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ გრეიმ განაცხადა, რომ ამიერიდან დევისის თასის გათამაშების მატჩებზე იმსაჯებენ ნეიტრალური ქვეყნის არბიტრები.

როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე მსაჯები იყვნენ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც თამაში ტარდებოდა. ხშირმა კონფლიქტმა და დავამ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა აიძულა რეფორმა გაეტარებინა: ექსპერიმენტის სახით წლეულს დევისის თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრებს მსაჯობდნენ ნეიტრალური ქვეყნების არბიტრები. გრეის აზრით, ამ სიახლემ გაამართლა.

მომავალში გათვალისწინებულია ამ ტურნირებში კორტზე დისციპლინის დამრღვევი მოთამაშეებისთვის დაწესდეს საჯარიმო ქულების სისტემა. (საკდესი).

●

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 23-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 3 (ბობსლეი), 21 (ცურვა), 31 (ფარიკაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 41 (სამბო), 43 (რიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

ВЫСТАВКА
ФОТОЛЮ

თვითნაკეთი „ღამურა“

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის **ოთარ ბოჭორიშვილის** ჰობი სპორტული ავტომობილების მოდელების შეგროვება გახლდათ.

შემდეგ გადაწყვიტა თვითონვე დაემზადებინა სპორტული ავტომობილი და აი, ოთარის ოცნებას ფრთები შეესხა...

მას ხშირად შეხვდებით საკუთარი ხელით დამზადებულ მცირელიტრაჟიან სპორტულ ავტომობილზე („ღამურაზე“) „ამხედრებულს“...

— „ღამურა“ რატომ დაარქვით თქვენს ავტომობილს?

— იმიტომ, რომ მის შექმნაზე ძირითადად თავისუფალ დროს ვმუშაობდი, თავისუფალი დრო კი მხოლოდ ღამით მრჩება...

ოთარი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ხშირი სტუმარია, ბავშვები დიდი ინტერესით ეცნობიან „ღამურას“ კონსტრუქციას და ავტოინჟინრობაზე ოცნებობენ.

ს. ვართანესოვი.

* * *

სურათებზე: ო. ბოჭორიშვილი; ნორჩი ავტომოდელისტები „ღამურასთან“.
ავტორის ფოტოები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 7 ივნისი. „სინათლის“ სტადიონი. **„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი).** დასაწყისი 14 საათზე. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა).** 15 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„ავიატორი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური)** 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 11178